

შენიშვნები და რეკომენდაციები საქართველოს უშიშროების კონცეფციის სამუშაო (1.8) ვერსიისათვის

წარმოდგენილი დოკუმენტი ასახავს მრავალ პრობლემას, რომელთა გადაჭრა ქართული სახელმწიფოებრიობის სტაბილობის საწინდარია. მისასაღმებელია, რომ უსაფრთხოების ტრადიციული პრობლემატიკის გვერდით სათანადო ყურადღება ექცევა ადამიანთა უფლებების დაცვისა და სამოქალაქო საზოგადოების მშენებლობის მნიშვნელობას, არასამთავრობო სექტორის განვითარების საჭიროებას. 1997 წლის ვერსიასთან (სამუშაო ვერსია 1.3) შედარებით, რომელიც ჩვენ 1998 წლის დამდევს გადმოგვეცა, აღნიშნული დოკუმენტი უფრო კომპაქტურია; მასში შემოკლებულია შესავალი, ზოგადი ნაწილი, რითაც საერთო ტექსტი უფრო მიზანმიმართული, პოლიტიკური განაცხადისათვის შესაფერისი ხდება.

აღსანიშნავია აგრეთვე, რომ გადამუშავებულ ვერსიაში ნაკლები წინააღმდეგობრიობაა ერთის მხრივ თვითმყოფადობის შენარჩუნების, ხოლო მეორეს მხრივ, მსოფლიოში კულტურული ინტეგრაციის საჭიროებაზე საუბრისას.

ის, რომ კონცეფცია საქართველოს მთავრობის და არა ზოგადად ხელისუფლების განაცხადია მიჩნეული, აგრეთვე ემთხვევა საერთაშორისო პრაქტიკას.

ამავე დროს, ჩვენი აზრით, ეროვნული უშიშროების კონცეფციის წარმოდგენილი ვერსიაც არა თავისუფალი რიგი ხარვეზებისაგან:

1. რიგი ადგილები რთული ენით, ძნელად აღსაქმელადაა დაწერილი. ნაცვლად „კულტურული თვითმყოფადობის შესატყვისი სოციალური ორგანიზაციის და პოლიტიკური წყობის საზოგადოებრივი სისტემისა“ (გვ. 2) შეიძლება ითქვას „კულტურული თვითმყოფადობის შესატყვისი საზოგადოებრივ-პოლიტიკური სისტემა“.
2. კონცეფციის მიზნებში (გვ. 4) სასურველია ეწეროს, რომ დოკუმენტის მიზანია; ა) საქართველოს წინაშე მდგომი საფრთხეებისა თუ რისკ-ფაქტორების დეფინიცია და მათი გაუვნებელყოფის გზების დასახვა; ბ) მსოფლიო თანამეგობრობისათვის და მეზობელი სახელმწიფოებისათვის საქართველოს ინტერესთა და განზრახულობათა ჩვენება.
3. რამდენადაც დოკუმენტი ფართო საზოგადოებისა და საერთაშორისო თანამეგობრობისათვის გამიზნული სავიზიტო ბარათია, ხშირი საუბარი „ელიტების როლზე“ შესაძლოა აზრთა სხვაობას იწვევდეს.
4. ბუნდოვანია ფრაზა „დემოკრატიული პოლიტიკურ გარემოში, თუ საზოგადოება არ არის მზად ქვეყნის მართვაში მონაწილეობისათვის, ხელისუფლება იძულებული ხდება თვითონ იკისროს მართვის მთელი ფუნქცია“ (გვ. 12-13).
5. ტექსტში ხშირად იხმარება ზმნები „უნდა“ და „საჭიროა“ (ხელისუფლებამ უნდა უზრუნველყოს ... იდეოლოგიური საფუძვლების შექმნა“, გვ. 9; „პასუხისმგებლობის ეფექტიანი გადანაწილება ხელისუფლებასა და ორგანიზებულ საზოგადოებას შორის უნდა იყოს სამოქალაქო საზოგადოების ხელშეწყობის...“ გვ. 13; „საჭიროა ვიცოდეთ რომელ ფუნდამენტურ ღირებულებებს იცავს და ამკვიდრებს საქართველოს განათლების სისტემა“, გვ. 16; „უნდა ჩამოყალიბდეს პროფესიული არმიის შექმნისა და თავდაცვის მინისტრად სამოქალაქო პირის დანიშვნის საკითხები“, გვ. 22; „სოციალური სამართლიანობის ... ახალი ფორმების დამკვიდრება უნდა გახდეს მისი სახელმწიფოებრიობის ჩამოყალიბების ... პრიორიტეტული მიმართულება“, გვ. 24). სამწუხაროდ კონცეფცია ყოველთვის არ იძლევა ნათელ პასუხს აქვე გაჩენილ კითხვებზე: როგორ? როდის? ვინ? რა?
6. უმჯობესი იქნებოდა ქვეთავთა გადალაგება იმდაგვარად, რომ საგარეო პოლიტიკური და გეოპოლიტიკური ნაწილები არ ყოფილიყვნენ დაცილებულნი სოციალური და ეკონომიკური თემებით – და პირიქით.
7. აკლია კონკრეტული სამხედრო და საგარეო-პოლიტიკური საკითხებისადმი მიძღვნილ

ქვეთავებს. სასურველი იქნებოდა პრიორიტეტულ საგარეოპოლიტიკურ მიმართულებათა და პარტნიორ ორგანიზაციათა თუ სახელმწიფოთა წარმოჩენა. სამხედრო ქვეთავში საჭიროა აღინიშნოს, თუ რა სახის საფრთხეებია უფრო რეალური და როგორია საქართველოს შეიარაღებული ძალების წინაშე მდგომი ყველაზე უფრო აქტუალური ამოცანები. ხომ ცხადია, რომ საქართველოს სამხედრო ისტებლიშმენტი ყველანაირი საფრთხის მოგერიების შემძლე ვერ იქნება. ეს საკითხები ტრადიციულად დელიკატურია, მაგრამ თანამედროვე დიპლომატიურ ლექსიკონში მრავლადაა ფორმულირებები, რომელთა მეშვეობით არც საფრთხე თუ რისკ-ფაქტორი იქნება მივიწყებული და არც რომელიმე მეზობელი სახელმწიფოს პატივმოყვარეობა ინება შელახული.

8. როგორც ცნობილია, 1996 წლიდან საქართველოში არასამთავრობო და სახელისუფლო სტრუქტურების მონაწილეობით გაიმართა არაერთი სემინარი, რომელნიც ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციის განვითარებას ეძღვნებოდა. 1998 წლიდან ფუნქციონირებს ISAB, უსაფრთხოების მრჩეველთა საერთაშორისო საბჭო, რომელმაც 1998 წლის 13 ნოემბერს ჩაატარა ანალოგიური სემინარი საგარეო საქმეთა სამინისტროში. სამწუხაროდ, ამ სემინარებზე გამოთქმული მოსაზრებები და ISAB-ის რეკომენდაციები ნაკლებადაა ასახული წინამდებარე დოკუმენტში.

9. გამოთქმული შენიშვნების საფუძველზე მიზანშეწონილად მიგვაჩნია საქართველოს ეროვნული უშიშროების კონცეფციის წარმოდგენილი სამუშაო ვერსია შეივსოს რიგი კონკრეტული განაცხადებით და აიგოს შემდეგი სავარაუდო სტრუქტურით, რომელიც მრავალ ქვეყანაშია აპრობირებული:

- ფუნდამენტური ეროვნული მიზნები;
- გამოწვევები და ხიფათები;
- ხელსაყრელი გარემოებანი/შესაძლებლობები
- ობიექტური ლიმიტები ეროვნული მიზნების მიღწევის სტრატეგია (სამხედრო, დიპლომატიური და ეკონომიკური საშუალებები).

სამხედრო-სამოქალაქო ურთიერთობებისა და უსაფრთხოების კვლევების ცენტრი, მშვიდობის, დემოკრატიისა და განვითარების კავკასიური ინსტიტუტი
თბილისი

25 თებერვალი, 1998 წელი

დასკვნა ეროვნული უშიშროების კონცეფციის პროექტზე

აღნიშნული დოკუმენტი წარმოადგენს საქართველოში მიმდინარე საზოგადოებრივ-პოლიტიკური პროცესების, ამ პროცესთა განვითარების სასურველ მიმართულებათა მთლიანობაში გააზრების ერთ-ერთ საყურადღებო მცდელობას, რაც უდავოდ მისასაღმებელია.

პროექტის ღირსებანი:

პროექტი ასახავს მრავალ პრობლემას, რომელთა გადაჭრა ქართული სახელმწიფოებრიობის სტაბილობის საწინდარია. აღსანიშნავია, რომ დოკუმენტის ავტორები არ იფარგლებიან პრობლემას ჩამოთვლით და აყენებენ მათი გადაჭრისათვის საჭირო ამოცანებს.

დოკუმენტის სასარგებლოდ მეტყველებს ის ფაქტი, რომ იგი ერთგულია დემოკრატიის, კანონის უზენაესობის, ადამიანის საყოველთაო უფლებების პრინციპებისა.

თავისი კონკრეტული და აქტუალობით საგანგებოდაა გამოსაყოფი წინამდებარე დოკუმენტის ის ნაწილები, რომლებშიც ასახულია არასამთავრობო ორგანიზაციათა როლი სამოქალაქო საზოგადოებების მშენებლობაში (გვ. 12-13), ხელისუფლების ლეგიტიმურობის მნიშვნელობა სახელმწიფოს განვითარებისა და მის უსაფრთხოებაში (გვ. 13), ძალისმიერ სტრუქტურათა წარმომადგენლების მიერ ადამიანის უფლებათა დარღვევისაგან მომდინარე საფრთხე (გვ. 14). კონკრეტული და არგუმენტირებულია პროექტის ის ნაწილი, რომელიც ქვეყნის ეკონომიკურ უსაფრთხოების პრობლემებსა და ამოცანებს ეხება (გვ. 18-19, 23).

მისასაღმებელია ავტორთა მიერ აქცენტის გაკეთება ქვეყნის უსაფრთხოების ისეთ უმნიშვნელოვანეს ფაქტორზე, როგორცაა საზოგადოებრივი თანხმობა სახელმწიფოს არსებობის და განვითარების საფუძვლებზე.

პროექტის ღირსებათა შორის აღსანიშნავია ხასგასმა სოციალურ-პოლიტიკური გარდაქმნების უნივერსალური თეორიის არარსებობაზე და ქვეყნის ბედის განსაზღვრაში თავად ამ ქვეყნის მკვიდრთა ნებისა თუ მოქმედების არსებით როლზე. აღსანიშნავია, რომ საქართველოში მდგრადი ეროვნული უსაფრთხოების სისტემის არარსებობის პირობებში აღნიშნული დოკუმენტი ვერ გაუზრის სამომავლო სურვილების სიჭარბეს და ნაკლებად ასახავს საფრთხეთა განეიტრალების მოქმედ მექანიზმებს. მაგრამ ფაქტია ისიც, რომ ეროვნული უშიშროების კონცეფციის წინამდებარე პროექტი ხასიათდება რიგი სუბიექტური ხარვეზებით.

ცალკეული ნაკლოვანებანი:

დასაზუსტებელია რიგ ტერმინთა სემანტიკა. კერძოდ არაა ნათელი, თუ რატომ ქვია დოკუმენტის ბოლო თავს „უშიშროების სისტემის სტრუქტურა“, როდესაც ამ თავის დიდი ნაწილი სახელმწიფოს მშენებლობაში სასურველ ნაბიჯთა/პოლიტიკათა ჩამონათვლით იფარგლება. ამ სახელწოდების ერთგვარი გამართლებაა მისი ბოლო ნაწილი, სადაც ნათქვამია, რომ ეროვნული უშიშროების სისტემა საგარეო და საშინაო პოლიტიკის კონკრეტულ სფეროებში მოღვაწეობის ერთობლიობაა. მაგრამ ამ თავისთავად თუ ფილოსოფიურად მართებული მტკიცებულებით შემოფარგვლის გამოყენებადობა, მისი პრაქტიკული მნიშვნელობა პროექტის დასკვნითი ნაწილისათვის, რომელსაც რიგ კითხვებზე პასუხების გაცემის დატვირთვა უნდა ჰქონდეს – სათუთა.

პროექტში გვხვდება თხრობით-პუბლიცისტური ადგილები: „არ აღმოგვაჩნდა სულიერი ძალა, რომ თავიდან აგვეცილებინა სამოქალაქო ომი“ (გვ. 10); „ქართველთათვის პიროვნული თავისუფლების იდეალები... მისაღები აღმოჩნდა... აუცილებელია

დისკუსიები (გვ. 13); პასაჟი ქართული არმიის სავალალო მდგომარეობაზე (გვ. 16); „კორუმპირებულ ინტერესებს არ გააჩნიათ ნაციონალური საზღვრების მცნება“ (გვ. 20). ამასთან დაკავშირებით ჩნდება კითხვა, თუ რამდენადაა ამ თავისთავად ღირებულ აზრთა ადგილი სახელმწიფო სტრატეგიის განმსაზღვრელ დოკუმენტში, რომელიც მაქსიმალურად ლაკონური და პრაგმატულ-დანერგვადი უნდა იყოს.

აღბათ დასაზუსტებელია, თუ რა იგულისხმება „საზოგადოებრივი ელიტების როლსა“ და მათ მიერ „სახელმწიფოებრივი იდეოლოგიის ჩამოყალიბებაში“ (გვ. 9) – გამომდინარე ამ სიტყვათა პოლიტიკური დატვირთვისაგან. თუმცა ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციაში შესაძლოა ამგვარი თეორიული მსჯელობის ადგილი არც იყოს.

სურვილი, გამოთქმული 14-ე გვერდზე, რომ „დასამუშავებელია ყველა სახის ექსტრემალურ სიტუაციაში ყველა ძირითად სახელმწიფო უწყებათა მოქმედების პოლიტიკა“ უმჯობესია დაუკავშირდეს ქვეთავს ქვეყნის უშიშროების სამხედრო ასპექტების შესახებ, რომელიც თავისთავად საკმაოდ მკრთალად გამოიყურება.

სამხედრო ასპექტებზე საუბრისას აშკარად მეტია სათქმელი სავარაუდო საფრთხეებსა თუ მათ წინააღმდეგ არსებულ თუ სასურველ საშუალებებზე (დაწვებული საერთაშორისო ხელშეკრულებებიდან, სპეციალურ სამხედრო სამსახურთა აღნიშვნით დამთავრებული).

ასევე უკმარისობის გრძნობას ტოვებს უსაფრთხოების პოლიტიკის ტრადიციული სფეროსადმი, საგარეო პოლიტიკისადმი მიძღვნილი ქვეთავი.

დოკუმენტში გვხვდება უკვე გამოთქმული აზრების განმეორებანი საქართველოში მიმდინარე საზოგადოებრივი სისტემის გარდაქმნის პროცესზე, „მცირე“ ქვეყნების სპეციფიურობაზე.

გარკვეული წინააღმდეგობრიობის გრძნობას ტოვებს საუბარი, ერთის მხრივ, საკუთარი თვითმყოფადობის შენარჩუნების, მეორეს მხრივ, კი მსოფლიოში კულტურული ინტეგრაციის საჭიროებაზე.

დასკვნა:

პროექტი უდავოდ საინტერესო ნააზრევია, მასში კონცენტრირებულია ბოლო დროს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ დისკუსიებში გამოთქმული მრავალი მოსაზრება. დოკუმენტი გარკვეულწილად სახელმწიფოს პოლიტიკური ხელმძღვანელობის პრაქტიკული მოღვაწეობის განზოგადების ცდაცაა. ამასთან, დოკუმენტის წარმოდგენილი სტრუქტურა თუ შინაარსი ბოლომდე ვერ პასუხობს საზოგადოდ მიღებულ იმ მოთხოვნებს, რომელიც ეროვნული უსაფრთხოების ოფიციალურ კონცეფციას წაყენება.

გამომდინარე იქიდან, რომ ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია უნდა იყოს მაქსიმალურად მოკლე, როგორც პრაქტიკოს პოლიტიკოსთათვის, ისე ფართო საზოგადოებისათვის ნათლად აღსაქმელი დოკუმენტი, პროექტის ენა გასამარტივებელია და მოცულობა შესაკვეცი. არსებითადაა შესამცირებელი პირველი ცხრა გვერდი.

ამასთან, როგორც ითქვა – უსაფრთხოების პოლიტიკის რიგი ტრადიციული საკითხებისა (სამხედრო ასპექტები, საგარეო პოლიტიკა) მეტი კონკრეტიკითაა შესავსები.

კონცეფციის პროექტი ტოვებს ეკლექტური ნაშრომის ხასიათს, სადაც სოციალური და პოლიტიკური საფრთხეები, სურვილები თუ ამოცანები არათანამიმდევრულადაა გადმოცემული. ამ მხრივ, იგი უფრო სტატიას ქვეყნის განვითარების სტრატეგიაზე, ვიდრე პრაქტიკულად გამოყენებადი პოლიტიკური დოკუმენტი.

კონცეფციის პრაქტიკული მნიშვნელობა ფასდება მასში გადმოცემული კეთილი სურვილების შესრულების მექანიზმთა ჩვენებით. გამომდინარე იქიდან, რომ კონცეფცია ხელისუფლების პოლიტიკური კურსის სავიზიტო ბარათია, მისი შინაარსი

თავისი ლაკონურობითა და კონკრეტული უნდა იძლეოდეს დასახული მიზნების შესრულებაზე კონტროლის საშუალებას. სამწუხაროდ, წარმოდგენილი დოკუმენტი ამ მხრივ შემდგომ დახვეწას საჭიროებს.

კარგი იქნებოდა, თუ საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციის სტრუქტურა გაჰყვებოდა იმ აპრობირებულ ქარგას, რომლის თანახმად ქვეყანა: ა) აცხადებს თავის ფუნდამენტურ ინტერესებს, საგარეო და საშინაო პოლიტიკურ პრიორიტეტებს, ბ) აღნიშნავს თუ რა სახის საფრთხეებს ხედავს საკუთარი თვითღამკვიდრებისა და განვითარების პროცესში და გ) ჩამოთვლის იმ საშუალებებსა და ხერხებს, რომელთაც იგი მიმართავს ან გეგმავს, რომ მიმართოს ამ საფრთხეთა თავიდან ასაცილებლად.

ამგვარი განცხადებით ქვეყანა წარუდგენს თავის თავს პოტენციურ მეტოქეებსა თუ კეთილსმსურველებს საზღვრების შიგნით და გარეთ. ამ თვალსაზრისით ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია ღია დიპლომატიის, გამჭვირვალების პრინციპთა ერთგულების ნიშანი და გარანტია. კონცეფციის არსებითი მიზანიც სწორედ ესაა.

შეიძლება ითქვას, რომ წარმოდგენილი პროექტის სახით გაწეულია დიდი სამუშაო. ამ ეტაპზე საჭიროა დაგროვილი ანალიტიკური მასალის კრიტიკული შეფასება, გადამუშავება და საბოლოო სახის პრინციპული დოკუმენტის შექმნა.

დავით დარჩიაშვილი

დირექტორი

სამხედრო-სამოქალაქო ურთიერთობებისა და უსაფრთხოების საკითხთა კვლევების ცენტრი,

მშვიდლობის, დემოკრატიისა და განვითარების კავკასიური ინსტიტუტი